

2019 წლის 6 თვეში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული განცხადებების ზოგადი სტატისტიკა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2019 წლის ექვსი თვის მანძილზე შემოსულია სულ 17 წერილობითი მომართვა და განცხადება, რომელიც მოიცავს საჯარო ინფორმაციის მიწოდების თაობაზე 50 მოთხოვნას. ყველა მოთხოვნაზე პასუხი გაცემულია კანონით დადგენილი ვადების დაცვით.

საანგარიშო პერიოდში, საჯარო მოთხოვნაზე უარის თქმის შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია.

საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მიზნით, არცერთი მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ, სხვადასხვა დროს, გადაწყვეტილება მიღებული აქვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის თაობაზე შემოსული წერილობითი მომართვებისა და განცხადებების რ ე ე ს ტ რ ი
(2019 წლის ექვსი თვის შედეგები)

N	ვისგან შემოვიდა მოთხოვნა, დოკუმენტის თარიღი და N	მოთხოვნის საკრებულოში შემოსვლის N და თარიღი	მოთხოვნის მოკლე შინაარსი	რეაგირება
1.	ადგილობრივი დემოკრატიის სააგენტოს 2019 წლის 8 იანვრის წერილობითი განცხადება	2019 წლის 10 იანვარი, N07/02	(შეიცავს 7 მოთხოვნას) 1. დღეის მდგომარეობით მოქმედი საკრებულოს ბიუროს, კომისიების, ფრაქციებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, თანამდებობა); 2. დღეის მდგომარეობით მოქმედი საკრებულოს აპარატის სტრუქტურული ერთეულების ჩამონათვალი და თითოეული მათგანის ფუნქციების აღწერა; 3. ვაკანტური თანამდებობების ჩამონათვალი,	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 21 იანვარს (N 02/23), ვადების დაცვით.

			<p>რომელთა დასაკავებლად საკრებულოს აპარატში გამოცხადდა ბოლო სამი კონკურსი, კონკურსის ჩატარების თარიღების მითითებით;</p> <p>4. 2017-2018 წლებში საკრებულოს მიერ წარმოებული სასამართლო დავების ჩამონათვალი, რომელზეც გამოტანილია სასამართლო გადაწყვეტილება;</p> <p>5. 2018 წელს გამართული საკრებულოს, საკრებულოს კომისიისა და ბიუროს სხდომების ჩამონათვალი;</p> <p>6. 2017-2018 წლებში საკრებულოში დარეგის - ტირიებული პეტიციების ჩამონათვალი;</p> <p>7. 2017-2018 წლებში საკრებულოში შემოსული მერისათვის უნდობლობის გამოცხადების შესახებ წერილობითი ინიციატივები.</p>	
2.	„ახალი გაზეთის“ მთავარი რედაქტორის ი.ზობოხიძის 2019 წლის 18 იანვრის წერილობითი განცხადება	2019 წლის 18 იანვარი, N23/02	<p>(შეიცავს 2 მოთხოვნას)</p> <p>ითხოვს ინფორმაციას საკრებულოს თავმჯდომარის სხდომაზე დასწრების მდგომარეობისა და მის დაქვემდებარებაში არსებული ავტომობილის რეაბილიტაციისათვის თანხის გამოყოფის (გამოიყო თუ არა) შესახებ.</p>	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 31 იანვარს (N02/55), ვადების დაცვით.
3.	მოქალაქე მადონა თებიძის 2019 წლის 29 იანვრის წერილობითი განცხადება	2019 წლის 29 იანვარი, N66/02	<p>(შეიცავს 6 მოთხოვნას)</p> <p>ითხოვს ინფორმაციებს:</p> <p>1. საკრებულოს ვებ გვერდზე 2018 წელს შემოსული მომხმარებლების რაოდენობის შესახებ;</p> <p>2. ოფიციალურ ვებ გვერდზე „დაუკავშირდი ხელისუფლებას“ განყოფილებაში მითითებულ ოფიციალურ ელ. ფოსტაზე: sakrebulo@kutaisi.gov.ge 2018 წელს შემოსული შეკითხვებისა და წერილების რაოდენობის შესახებ;</p> <p>3. ოფიციალურ ვებ გვერდზე „დაუკავშირდი</p>	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 11 თებერვალს (N 02/127), ვადების დაცვით.

			<p>ხელისუფლებას“ განყოფილებაში მითითებულ ოფიციალურ ელ. ფოსტაზე sakrebulo@kutaisi.gov.ge 2018 წელს შემოსულ შეკითხვებსა და წერილებზე გაცემული პასუხების რაოდენობის შესახებ;</p> <p>4. მთავარ გვერდზე სერვისი „შექმენი პეტიცია“ როდის დაემატა მთავარ გვერდზე.</p> <p>ითხოვს აგრეთვე:</p> <p>1. 2018-2019 წლის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმისა და სტრატეგიის შესახებ აქტს;</p> <p>2. საკრებულოს რეგლა - მენტის შესახებ აქტს.</p>	
4.	მოქალაქე დ.ზარაზამის 2019 წლის 7 თებერვლის წერილობითი განცხადება	2019 წლის 7 თებერვალი, N156//02	<p>(შეიცავს 1 მოთხოვნას)</p> <p>ითხოვს 2016 წლის აპრილისათვის ქალაქ ქუთაისში, ჯავახიშვილის ქუჩაზე არსებული მიწის ნორმატიული ფასის შესახებ საკრებულოს დადგენილებას.</p>	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 11 თებერვალს(N 02/120), ვადების დაცვით.
5.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-სქართველოს 2019 წლის 13 თებერვლის N03-555 წერილობითი მომართვა	2019 წლის 14 თებერვალი, N218/02	<p>(შეიცავს 8 მოთხოვნას)</p> <p>ითხოვს შემდეგ ინფორმაციებს:</p> <p>1. 2017-2018 წლებში საკრებულოს აპარატის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერ - თობის განყოფილების თანამშრომელთა სრული რაოდენობის, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომლების ჩათვლით, წლების მიხედვით ცალ-ცალკე (2 მოთხოვნა)</p> <p>2. 2017-2018 წლებში საკრებულოში არსებული მედიასთან და საზოგა- დოებასთან ურთიერთობის განყოფილების თანამ - შრომელთა მიერ აღებული ხელფასის (პრემიის, ბონუსის, დანამატის) სრული რაოდე- ნობის თაობაზე, მათ შორის შტატგარეშე თანამშრომელთა ჩათვლით. წლების მიხედვით ცალ-ცალკე (2 მოთხოვნა).</p> <p>3. 2018 წელს საკრებუ- ლოს მიერ გაწეული ნებისმიერი</p>	<p>2019 წლის 15 თებერვალს კუთვნილებისამებრ, წერილი გაეგზავნა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს (N02/163), ამასთან, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს აღმასრულებელ დირექტორს, ეცნობა შუალედური პასუხი (N02/171), რომელშიც პასუხი გაეცა მის წერილში დასმულ პირველ საკითხს (2 მოთხოვნა).</p> <p>საბოლოო პასუხი ადრესატს გაეგზავნა 2019 წლის 1-ლ მარტს (N 02/253) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.</p>

			სახის რეკლამის (სპონსორობის, ტელეშოპინგის) პროგრამაში პროდუქტის (საქონლის/ მომსახურების) პიარ ღონისძიებების წარმოების, განთავსებისა და გავრცელების ხარჯის რაოდენობის შესახებ, რეკლამის განთავსების ადგილების მითითებით თვეების მიხედვით ცალ-ცალკე (4 მოთხოვნა).	
6.	მშვიდობის და მეგობრობის ინტელექტუალური კლუბი „L L L -ს“ პრეზიდენტის, პუბლიცისტის, ზესიკ ადამიას 2019 წლის 1-ლი მარტის N43 წერილობითი მომართვა	2019 წლის 1 მარტი, N351/02	(1 მოთხოვნა) ითხოვს 2019 წლის 27 თებერვალს საკრებულოს მე-17 სხდომაზე მისი გამოსვლის მე-17 სხდომის ოქმში შეტანას და მისთვის ოქმის ამონაწერის მიწოდებას ამ გამოსვლასთან დაკავშირებით .	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 11 მარტს (N 02/313), ვადების დაცვით.
7.	მოქალაქე დარეჯან ამირანაშვილის 2019 წლის 7 მარტის წერილობითი განცხადება	2019 წლის 7 მარტი, N425/02	(1 მოთხოვნა) ითხოვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 31 ოქტომბრის N70 დადგენილებას.	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 12 მარტს (N 02/325), ვადების დაცვით.
8.	მოქალაქე მაია შუბინას 2019 წლის 20 მარტის წერილობითი განცხადება	2019 წლის 20 მარტი, N521/02	(1 მოთხოვნა) ითხოვს საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 15 აპრილის N432 ბრძანების ასლს	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 26 მარტს (02/428), ვადების დაცვით.
9.	საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2019 წლის 26 მარტის N გ-19-05/808 წერილობითი მომართვა	2019 წლის 27 მარტი, NN569/02	(2 მოთხოვნა) ითხოვს ინფორმაციას „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის 661-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის გავრცელების მიზნით, საკრებულოს მიერ დაკვეთილი სატელევიზიო ვიდეო რგოლების რაოდენობისა და აღნიშნული მომსახურების გაწევისათვის გადახდილი თანხის (თანდართულ ფაილში, ელექტრონული სახით) შესახებ.	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 29 მარტს (N02/462), ვადების დაცვით.

10.	საქართველოს იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის 2019 წლის 27 მარტის N გ-06/24 წერილობითი მომართვა	2019 წლის 27 მარტი, N576/02	(1 მოთხოვნა) ითხოვს საკრებულოს მიერ, ააიპ „მადლიერების სახლში“ არსებული მდგომარეობის შესახებ საკითხის განხილვის თაობაზე, ოქმისა და დღის წესრიგის მიწოდებას	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 5 აპრილს (N 02/531), ვადების დაცვით.
11.	მოქალაქე სალომე აკობიას 2019 წლის 01 მაისის წერილობითი განცხადება	2019 წლის 01 მაისი, N781/02	(4 მოთხოვნა) ითხოვს ინფორმაციებს: 1. მე-5 და მე-6 მოწვევების საკრებულოს წევრების მიერ აღმასრულებელ ორგანოებზე გამოყენებული კონტროლის ან/და ზედამხედველობის ფორმების შესახებ; 2. მე-5 და მე-6 მოწვევების საკრებულოს მიერ დაფიქსირებული აღმასრულებელი ორგანოს კონტროლის დამატებითი მექანიზმების გამოყენების შესახებ; 3. საკრებულოს ან/და საკრებულოში მოქმედი დარგობრივი კომისიის მიერ მიერ დაფიქსირებული აღმასრულებელი ორგანოდან შემოსული საკითხის კენჭისყრის შედეგად უარყოფითად გადაწყვეტის, ან უარყოფითი დასკვნით საკითხის მერისთვის დაბრუნების შემთხვევის თაობაზე; 4. მე-5 და მე-6 მოწვევების საკრებულოს საქმიანობის პრაქტიკაში მაკონტროლებელი ფუნქციების სხვა გამოვლინებების შესახებ.	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 8 მაისს (N02/722), ვადების დაცვით.
12.	საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ქუთაისის რეგნული ოფისის კოორდინატორის, ლ.მოწონელიძის 2019 წლის 30 აპრილის N03/ქ-993 წერილობითი მომართვა	2019 წლის 01 მაისი, N 784/02	(4 მოთხოვნა) ითხოვს ინფორმაციებს: 1. 2017 წლის იანვრიდან დღემდე საკრებულოში რეგისტრირებულ პეტიციათა რაოდენობის შესახებ. რამდენი პეტიცია იქნა განხილული. განხილვის შედეგები;	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 13 მაისს (N02/742), ვადების დაცვით.

			<p>2. საკრებულოს სხდომებსა და საკრებულოს კომისიების სხდომებში მონაწილე მოქალაქეების რეგისტრაციის წესის შესახებ. გადიან თუ არა მონაწილე პირები რეგისტრაციას, მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები ფიქსირდება თუ არა სხდომების ოქმებში;</p> <p>3. 2017 წლის იანვრიდან დღემდე, საკრებულოს წევრების მიერ მოქალაქეთა წინაშე ანგარიშის ჩაბარების შესახებ; საკრებულოს წევრის ვინაობის, ანგარიშის მოსმენის თარიღის მითითებითა და შესაბამისი ოქმების ასლებით(ასეთის არსებობის შემთხვევაში) ;</p> <p>4. მართავენ თუ არა საკრებულოს წევრები გასვლით შეხვედრებს მოქალაქეებთან. რამდენი შეხვედრა იქნა გამართული (არსებობის შემთხვევაში საკრებულოს წევრების მოქალაქეებთან შეხვედრების ოქმების მიწოდების შესახებ)</p>	
13.	დახმარების საერთაშორისო ფონდის 2019 წლის 30 აპრილის წერილობითი მომართვა	2019 წლის 01 მაისი, N778/02	(1 მოთხოვნა) ითხოვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ააიპ „სპეციალური სერვისების“ წესდებას	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 6 მაისს (N02/713), ვადების დაცვით.
14.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის, ლ.კინწურაშვილის 2019 წლის 01 მაისის N01/10469 წერილობითი მომართვა	2019 წლის 01 მაისი, N 785/02	(1 მოთხოვნა) გაზეთ „ახალი გაზეთის“ ჟურნალისტიკის, ნესტან ჩაგელიშვილის მიერ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის თაობაზე, პასუხის მიწოდებას (მოთხოვნა ეხება სააღდგომოდ, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებზე პრემიების, ჯილდოების, დანამატების გაცემას).	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 8 მაისს (N02/723), ვადების დაცვით.
15.	საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის გენდერის დეპარტამენტის უფროსის, ა.ილურიძის 2019 წლის 8 მაისის N08-3/5254 წერილობითი მომართვა	2019 წლის 15 მაისი, 834/02	(8 მოთხოვნა) ითხოვს ინფორმაციას გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე“ სამოქმედო გეგმით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 27 მაისს, ვადების დაცვით.

			შესახებ. კერძოდ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი როგორც პარტნიორი უწყება, იყო თუ არა ჩართული ამ გეგმის 1.3.4; 2.1.2; 3.1.3; 3.1.6; 4.2.3; 4.2.4; 5.1.2.; 5.1.8 პუნქტებით განსაზღვრული საქმიანობების შესრულებაში.	
16.	ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მ/შემსრულებლის, გ.სვანიძის 2019 წლის 24 მაისის N01/12201 წერილობითი მომართვა	2019 წლის 24 მაისი, N941/02	(1 მოთხოვნა) ითხოვს ინფორმაციის განვითარების ინსტიტუტის 2019 წლის 14 მაისის FOI419-014 წერილობითი განცხადების მე-9 პუნქტთან დაკავშირებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში 2018 - 2019 წლებში საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით შემოსული წერილების რეესტრის მიწოდებას.	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 24 მაისს (02/832), ვადების დაცვით.
17.	მოქალაქე ჯუმბერ ყურაშვილის 2019 წლის 30 მაისის წერილობითი განცხადება	2019 წლის 30 მაისი, N972/02	(1 მოთხოვნა) ითხოვს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 24 ივლისის N889 ბრძანებისა და ამ ბრძანებით შეთანხმებული ფართების რეკონსტრუქციის სამშენებლო დოკუმენტაციის პროექტის ასლებს.	ადრესატს გაეგზავნა პასუხი 2019 წლის 31 მაისს (N02/876), ვადების დაცვით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი, საკრებულოს აპარატის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი-სამდივნო განყოფილების უფროსი ცაგური პატარიძე